

ძალაშია 1998 წლის 7 ოქტომბრიდან

## შეთანხმება

### საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრთა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში ხელშემკვრელ მხარეებად, წოდებულნი,

აქვთ რა სურვილი ხელი შეუწყონ ორ ქვეყანას შორის მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას საავტომობილო ტრანსპორტით, ისევე როგორც ტრანზიტს მათი ქვეყნების ტერიტორიის გავლით;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1 საქმიანობის სფერო

ამ შეთანხმების საფუძველზე გადამზიდვები უფლებამოსილნი არიან გადაზიდონ ტვირთი და მგზავრები საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ გზებზე რომელიმე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით ხელშემკვრელ მხარეებს შორის ტერიტორიებზე, მათი ტერიტორიებიდან მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე და ტრანზიტით მათ ტერიტორიაზე.

#### მუხლი 2 განსაზღვრებანი

ტერმინი „გადამზიდავი“, ნიშნავს საქართველოს ან ირანის ისლამური რესპუბლიკის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, უფლებამოსილს გადაიყვანოს მგზავრები ან გადაზიდოს ტვირთი ხელშემკვრელი მხარეების ქვეყნების წესებისა და დადგენილებების გათვალისწინებით.

ტერმინი „სატრანსპორტო საშუალება“, ნიშნავს:

ა) ტვირთების გადასაზიდად სატვირთო ავტომობილს, სატვირთო ავტომობილს მისაბმელით, ავტომობილს გამწვევით ან გამწვევის ნახევარმისაბმელით;

ბ) მგზავრების გადასაყვანად – ავტოსატრანსპორტო საშუალებას რომელიც განსაზღვრულია მგზავრების გადასაყვანად და რომელსაც გააჩნია არა უმცირესი 8 დასაჯდომი ადგილისა, მძღოლის ადგილის გარდა;

ტერმინი „ნებართვა“, ნიშნავს ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ გაცემულ დოკუმენტს საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ნებას რთავს ერთი ხელშემკვრელი მხარის, სატრანსპორტო საშუალებას მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე შესვლას, გამოსვლას და ტრანზიტით გავლას ისევე როგორც ამ შეთანხმებით შემუშავებულ სხვა ნებართვებსაც.

ტერმინი „რეგულარულ მგზავრთა გადაყვანის მომსახურება“, ნიშნავს მგზავრთა გადაყვანას ორი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებს შორის დადგენილი მარშრუტით,

ტარიფებითა და განრიგით, გადაყვანის მომსახურების პერიოდულობისა და ვადების, ისევე როგორც მგზავრთა დატოვებისა და აყვანისათვის გაჩერების გათვალისწინებით.

ტერმინი „მაქოსებური რეისი„ ნიშნავს მგზავრების ორგანიზებულ გადაყვანას საერთაშორისო მიმოსვლაში, რომლებიც წინასწარ არიან თავმოყრილი ჯგუფში ერთი და იგივე მარშრუტისა და უკან დასაბრუნებელი წინასწარ განსაზღვრული ერთი და იგივე დროის მიხედვით (ამ ჯგუფში მყოფი მგზავრები ვალდებული არიან დაბრუნდნენ იგივე ჯგუფთან ერთად. პირველი უკან დასაბრუნებელი რეისი დანიშნულების ადგილიდან და ბოლო რეისი დანიშნულების ადგილისაკენ განხორციელდება მგზავრების გარეშე).

ტერმინი „მგზავრთა გადაყვანა დახურული კარით„ (მგზავრთა ჩარტერული გადაყვანა) ნიშნავს მგზავრთა გადაყვანას საერთაშორისო მიმოსვლაში, როდესაც ერთი და იგივე მგზავრების ჯგუფი ერთი და იგივე ტრანსპორტით მგზავრობს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ერთი პუნქტიდან მეორე ხელშემკვრელი მხარის პუნქტამდე მგზავრთა აყვანის ან ჩამოსმის გარეშე.

ტერმინი „ტრანზიტული გადაზიდვა/გადაყვანა„ ნიშნავს მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის გავლით ორ პუნქტს შორის, რომელიც არ იმყოფება აღნიშნული ქვეყნის ტერიტორიაზე.

### მუხლი 3 გადასახადები და ფასები

არც ერთ ხელშემკვრელ მხარეს არ შეუძლია დააწესოს არანაირი გადასახადები და ფასები მეორე ხელშემკვრელი მხარის სატრანსპორტო საშუალებებზე, გარდა:

ა) გადასახადი ფასიანი საგზაო ინფრასტრუქტურების ქსელის გამოყენებისათვის (ბეგარა გზებზე და ხილებზე);

ბ) გადასახადი არადისკრიმინაციულ საფუძველზე, რათა დაიფაროს სხვაობა საწვავის საერთაშორისო და ეროვნულ ფასებს შორის, რომელიც მძღოლს გააქვს თითოეული ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან უმეტეს ერთი სტანდარტული ავტოსა;

გ) გადასახადი, როდესაც სატრანსპორტო საშუალების წონა, მოცულობა აღემატება ხელშემკვრელი მხარეების სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულ ნორმებს.

### მუხლი 4 ერთობლივი კომისია

1. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები შექმნიან თავიანთი წარმომადგენლობისაგან ერთობლივ კომისიას, რომელიც გადაწყვეტს ამ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

2. ერთობლივი კომისია შეიკრიბება ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში.

### მუხლი 5 მგზავრების გადაყვანა

1. ერთი ხელშემკვრელი მხარის გადამზიდველმა უნდა განახორციელოს რეგულარული ან ტრანზიტული მომსახურება მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე სპეციალური ყოველწლიური ნებართვების საფუძველზე, რომელიც გაცემულია მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ.

**2. „გზავრების გადაყვანა დახურული კარით,“ ან „მაქოსებური რეისი,“ განხორციელებული საგრანსპორტო საშუალებით ხელშემკვრელი მხარის გერიტორიისაკენ ან გერიტორიიდან, არ საჭიროებს ნებართვას.**

**მუხლი 6  
გვირთის გადაზიდვა**

გვირთის გადაზიდვა ხელშემკვრელ მხარეებს შორის ან ტრანზიტით მათი გერიტორიების გადაკვეთისას დადგენილი ქვოტებიდან გამომდინარე საჭიროებს წინასწარი ნებართვების მიღებას, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ა) ავადმყოფთა გადაყვანა;
- ბ) ხელოვნების ნიმუშების გადაზიდვა;
- ც) დაზიანებული და წყობიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა;
- დ) საფოსტო გზავნილების გადაზიდვა;
- ე) შემთხვევითი გვირთის გადატანა აეროპორტისაკენ და პირიქით ფრენის მარშრუტის შეცვლის შემთხვევაში;
- ფ) სტიქიური უბედურების დროს დახმარების საგნების გადაზიდვა;
- გ) ბაზრობებისა და გამოფენებისათვის გვირთის გადაზიდვა;
- ჰ) სხვა შემთხვევაში რომლებმაც იქნება ერთობლივი კომისიის მიერ შეთანხმებული ორმხრივი გადაწყვეტილება.

**მუხლი 7  
ნებართვები**

1. გვირთების ყოველი გადაზიდვისათვის გაცემული უნდა იქნას ცალკეული ნებართვა, რომელიც ერთი რეისის განხორციელების უფლებას იძლევა. გაცემული ნებართვა იძლევა მეორე ხელშემკვრელი მხარის გერიტორიაზე დაგვირთვის უფლებას.

2. ნებართვები ძალაშია ერთი წლის განმავლობაში და შემდგომი წლის ნებართვები გაიცვლება ყოველი წლის ნოემბერში. დამატებითი ნებართვები გაიცემა საჭიროების შემთხვევაში ორივე ხელშემკვრელი მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ნებართვა ძალაშია ერთი საავტომობილო საშუალებისათვის.

ორივე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური პირები უნდა შეთანხმდნენ ნებართვის ფორმისა და რაოდენობის თაობაზე.

3. ნებართვა და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ამ შეთანხმების შესაბამისად მოითხოვება, უნდა ახლდეს იმ ავტოსაგრანსპორტო საშუალებებს, რომლებსაც ისინი განეკუთვნებიან და რომლებიც წარედგინებიან კომპეტენტურ საკონტროლო ორგანოებს.

**მუხლი 8  
სპეციალური გრანსპორტირება**

1. იარაღის, საბრძოლო მასალების, სამხედრო მოწყობილობების და ასაფეთქებელი საშუალებების გადაზიდვა ხელშემკვრელ მხარეებს შორის ან ტრანზიტით რომელიმე ხელშემკვრელი მხარის გერიტორიაზე ექვემდებარება ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტურ პირთა მიერ გაცემულ სპეციალურ ნებართვას.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც საშიში გვირთის გადაზიდვა საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, გადაზიდვა ეს სპეციალური ნებართვა უნდა მიიღოს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან.

3. როდესაც დაგვირთული ან დაუგვირთავი ავგოსაგრანსპორტო საშუალებების წონა და გაბარიტები აღემატებიან მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ დადგენის ნორმებს, გადამზიდველმა უნდა მიიღოს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოებისაგან სპეციალური ნებართვა.

4. თუ ამ მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტებში ნახსენები ნებართვები ითავალისწინებენ ავგოსაგრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რაიმე გარკვეულ მარშრუტს, მაშინ გადაზიდვა უნდა განხორციელდეს ამ მარშრუტის მიხედვით.

### მუხლი 9

გვირთის საერთაშორისო გადაზიდვა საავტომობილო გზით ამ ხელშეკრულების საფუძველზე, უნდა ექვემდებარებოდეს გვირთის გადაზიდვის საერთაშორისო კონვენციას. ითვალისწინებდეს TIR- ის მოთხოვნებს, აგრეთვე შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს.

### მუხლი 10

ძირითადი დებულებანი

აკრძალვა შიდა ტრანსპორტირებაზე

გადამზიდავს ეკრძალება მგზავრების გადაყვანა და გვირთის გადაზიდვა მეორე ხელშემკვრელი მხარის ორ პუნქტს შორის.

### მუხლი 11

გადაზიდვები მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე და პირიქით

გადამზიდავს შეუძლია განახორციელოს გადაზიდვები მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიიდან მესამე ქვეყანაში და აგრეთვე მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, თუ ამის განხორციელებისათვის მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემულია სპეციალური ნებართვა.

### მუხლი 12

დაზღვევა

ამ შეთანხმების საფუძველზე საერთაშორისო გადაზიდვები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყოველი ავგოსაგრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის წინასწარი დაზღვევის პირობით.

### მუხლი 13

ღარღვევები

1. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გაუწიონ გელამხედველობა ამ შეთანხმების დებულებების დაცვას გადაზიდვების მიერ.

2. ხელშემკვრელი მხარეების ის ორგანოები, სადაც საგრანსპორტო საშუალება არის რეგისტრირებული, მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მყოფი საგრანსპორტო საშუალებების, მძღოლებისა და გადაზიდვების მიერ ამ შეთანხმების მუხლებისა და ამ ტერიტორიაზე ძალაში მყოფი კანონებისა და მოძრაობისა და ტრანსპორტირების წესების

დარღვევის შემთხვევაში, ახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს, თუ ამის შესახებ მეორე ხელშემკვრელი მხარისაგან მიღებული აქვთ თხოვნა;

ა) გაფრთხილება;

ბ) ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე, სადაც ადგილი ჰქონდა დარღვევას, საგრანსპორტო საშუალების მოძრაობის ნებართვას შეჩერება ნაწილობრივ, დროებით ან მთლიანად.

3. პირველი ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანო ვალდებულია შეაგყობინოს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ.

4. ეს მუხლი ეხმაურება იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო ან აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან ნებისმიერ კანონიერ ნაბიჯს რომლის გერიგორიაზეც ჰქონდა ადგილი დარღვევას.

#### მუხლი 14

##### საწვავი

საწვავი, რომელიც მოთავსებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალების სტანდარტულ ავზებში, თავისუფლდება საბაჟო და ყველა სხვა სახის გადასახადისაგან. სტანდარტული ავზის არის ავზი რომელიც დამზადებულია ავტოსაგრანსპორტო საშუალებების მიერ.

#### მუხლი 15

##### სათადარიგო ნაწილები

სათადარიგო ნაწილები, რომლებიც შეცვლილი იქნას დაზიანებულ ავტოსაგრანსპორტო საშუალებებზე, ექვემდებარება რეექსპორტს ან განადგურებას საბაჟო ორგანოების ბედამხედველობის ქვეშ ან საბაჟო ორგანოებისათვის მათ გადაცემას. სათადარიგო ნაწილების იმპორტი უნდა ექვემდებარებოდეს ხელშემკვრელი მხარის ეროვნულ კანონებსა და დადგენილებებს.

#### მუხლი 16

უბედური შემთხვევების, დაზიანების და სხვა სიძნელეების შემთხვევაში, ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლის გერიგორიაზეც ადგილი ჰქონდა შემთხვევას, უნდა მიაწოდოს მეორე ხელშემკვრელ მხარეს რეზულტატები და ყველა საჭირო ინფორმაცია შემთხვევის, მისი შედეგებისა და გამოძიების გარშემო.

#### მუხლი 17

##### ეროვნული კანონების გამოყენება

საგრანსპორტო საშუალებები და მათი ეკიპაჟი, რეგისტრირებული ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ, უნდა დაემორჩილოს მეორე ხელშემკვრელი მხარის საგზაო კანონებსა და დადგენილებებს.

ყველა სხვა შემთხვევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმებით უნდა დაექვემდებაროს ხელშემკვრელი მხარეების კანონებს, დადგენილებებსა და წესებს.

#### მუხლი 18

## კომპეგენგური ორგანოები

ამ შეთანხმების განხორციელებისათვის კომპეგენგურ ორგანოებს წარმოადგენენ:

1. საქართველოს რესპუბლიკაში — გრანსპორტის სამინისტრო
2. ირანის ისლამური რესპუბლიკაში — გრანსპორტირებისა და გზების სამინისტრო.

### მუხლი 19 ძალაში შესვლა

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვერელი მხარეების მიერ მათი სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით საჭირო პროცედურების შესრულების შესახებ ნოტების გაცვლის დღიდან და რჩება ძალაში ერთი წლის განმავლობაში. მისი მოქმედება ავტომატურად გრძელდება ერთწლიანი პერიოდებით, თუ არცერთი ხელშემკვერელი მხარე ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ აცნობებს მეორე ხელშემკვერელ მხარეს მისი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

შესრულებულია ქ. თეირანში 1993 წლის 20 იანვარს (30.10.1371) ერთ პრეამბულად და ცხრამეტ მუხლად ორ ორიგინალურ პირად, თითოეული ქართულ, სპარსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ყოველი ტექსტი ავთენტურია. განმარტების დროს ღაგების წარმოშობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით

ირანის ისლამური რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით